საიდ. №72209/03

IR 1156470

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №120-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, ს. ებრალიძე თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ლაპპ ინჯინირინგ & კო”-ს (Lapp Engineering & Co.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №120-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 23 აპრილის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №785/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო გამოსახულებითი სასაქონლო ნიშნისათვის (საიდ. №72209/03 IR 1156470) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-9 კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები,

წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 23 აპრილის №785/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი გამოსახულებითი ნიშანი ვიზუალურად ჰგავს მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანიის „უ.ი. ლაპპ გმბჰ" (U.I. Lapp GmbH) სახელზე მე-9 კლასის მსგავსი საქონლისთვის რეგისტრირებული და საქართველოზე გავრცელებული კომბინირებული ნიშნის „LAPP KABEL" გამოსახულებით ნაწილს (რეგისტრაციის №455030, რეგისტრაციის თარიღი: 08/08/1980, გავრცელების თარიღი: 08/08/2000). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ნიშნები განსხვავდებიან სიტყვიერი ნაწილით, გამოსახულებითი ნაწილი იმდენად მსგავსია, რომ არ გამორიცხავს ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას, რის გამოც „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

აპელანტი კომპანია „ლაპპ ინჯინირინგ & კო" არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიები მიეკუთვნებიან კომპანიათა ერთი და იმავე ჯგუფს და დაპირისპირებული ნიშნის მფლობელი კომპანია „უ.ი. ლაპპ გმბჰ" თანხმობას აცხადებს საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის IR 1156470 დაცვასა და გამოყენებაზე საქართველოში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 23 აპრილის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №785/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო გამოსახულებითი სასაქონლო

ნიშნისათვის (საიდ. №72209/03 IR 1156470) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

სააპელაციო საჩივარს თან ერთვის დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის „ლაპპ კაბელ" (LAPP KABEL) მიერ გაცემული თანხმობის წერილი, რომლის თანახმად დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია თანხმობას აცხადებს განცხადებული გამოსახულებითი საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის IR 1156470 დაცვასა და გამოყენებაზე საქართველოში აპელანტი კომპანიის „ლაპპ ინჯინირინგ & კო." სახელზე. ამავე თანხმობის წერილში აღნიშნულია, რომ განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიები მიეკუთვნებიან კომპანიათა ერთი და იგივე ჯგუფს. აქედან გამომდინარე, აღარ მოხდება სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და გამოსახულებითი საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის (საიდ. №72209/03 IR 1156470) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიც არ არსებობს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ლაპპ ინჯინირინგ & კო” (Lapp Engineering & Co.) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 23 აპრილის №785/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.
3. გამოსახულებით საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს (საიდ. №72209/03 IR 1156470) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	მ. ფრუიძე
წევრები:	ქ. კილაძე
	ს. ებრალიძე